

**საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების კონცეფცია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის**

**1. საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგების მომზადება (TOT)**

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის სასწავლო პროგრამის განხორციელების მიზნით, სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის 166 ტრენინგის გადამზადებას. ტრენინგები გაეცნობიან სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის:

- ტრენინგების სისტემა და ეტაპები, ტრენინგების მეთოდოლოგია, სასწავლო მასალები;
- ტრენინგების ადმინისტრირება;
- საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები;
- კენჭისყრის პროცესი;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ ტრენინგები უზრუნველყოფენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინტენსიური სასწავლო პროგრამების ჩატარებას, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობას, რომელიც უკავშირდება არჩევნების უსაფრთხოებას და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკას.

ცესკო და სწავლების ცენტრი საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგთა ტრენინგს განახორციელებს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

**განხორციელების პერიოდი - 29 აგვისტო - 20 სექტემბერი**

**2. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის**

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთათვის ტრენინგები განხორციელდება ორ ეტაპად:

**I ეტაპი** დაეთმობა საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა და ხელმძღვანელ პირთა არჩევის წესი (პირველი სხდომის ინსტრუქცია (ეპიზოდური ინსცენირება));
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადებების/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი.

**განხორციელების პერიოდი - 7 - 16 სექტემბერი**

**II ეტაპი** დაეთმობა საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას. განხილულ იქნება საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს:

- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა;
- საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა საოლქო საარჩევნო კომისიისთვის;
- არჩევნების უსაფრთხოება.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს მიეცემათ საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქტაჟი, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებთან ერთად, ტრენინგის ფორმატში, უზრუნველყოფენ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირების ჩატარებას (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებს კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას).

**განხორციელების პერიოდი** - 30 სექტემბერი - 11 ოქტომბერი

### **3. ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის**

**I ეტაპზე**, სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ხასიათის ინსტრუქციის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს გააცნობენ საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის წესს და გადასცემენ შესაბამის საინფორმაციო მასალას.

**განხორციელების პერიოდი** - 18 - 21 სექტემბერი

**II ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი);
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები;
- კონფლიქტების მართვა.

**განხორციელების პერიოდი** - 26 სექტემბერი - 5 ოქტომბერი

**III ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების თავმჯდომარე, მოადგილე, მდივნის სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები (მათ შორის, საარჩევნო დოკუმენტაციასთან მუშაობა, შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი);
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები;
- არჩევნების უსაფრთხოება.

**განხორციელების პერიოდი** - 7 - 11 ოქტომბერი

**IV ეტაპი** დაეთმობა კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას. სწავლების ცენტრის ტრენერები და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები, საარჩევნო უბნების განთავსების ადგილებზე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარებენ ინსტრუქტაჟს, რომლის შემდეგ კომისიის წევრები პრაქტიკულად განახორციელებენ კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებს კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას).

**განხორციელების პერიოდი** - 13 - 17 ოქტომბერი

**დამატებითი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის შეცვლილი (ახალი) წევრებისათვის** - საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გამოწვევის ვადების ამოწურვის შემდგომ გათვალისწინებულია დამატებითი ტრენინგების ჩატარება საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრებისათვის.

განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები;
- კონფლიქტების მართვა.

**განხორციელების პერიოდი** - 12 ოქტომბრის ჩათვლით

#### **4. სასწავლო მასალები და მეთოდოლოგია**

საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა პროცედურული ცოდნის გაღრმავების მიზნით, ტრენინგებისთვის შემუშავებული სასწავლო მასალა მოიცავს: სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულებს, ტესტ-კითხვარებს, ელექტრონულ სასწავლო პროგრამებს და სასწავლო ფილმს „კენჭისყრის დღის პროცედურები“. ტრენინგზე გამოიყენება კომბინირებული მეთოდოლოგია (ვერბალური, პრაქტიკული, ინტერაქტიული და როლური).